ბათუმში შეიქმნა ახალგაზრდული მუსიკალური ანსამბლი „ჰუის“

2013 წლის15 ივნისს, ბათუმის "სურბ ფრკიჩ“ ეკლესიაში საკვირაო ღვთისმსახურების შემდეგ აჭარის, გურიისა და იმერეთის სომეხთა სულიერმა მოძღვარმა მღვდელმა არარატ გუმბალიანმა მორწმუნეებს წარუდგინა ახალდჩამოყალიბებული სომხური
ახალგაზრდული
„ჰუის“
მუსიკალური
ანსამბლი.

ანსამბლი გამოვიდა თავისი შესრულებებით, რასაც დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ მორწმუნეები. სულიერმა მოძღვარმა დამსწრეებს გააცნო კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი - ბათუმში

,
"

სურბ ფრკიჩ“ ეკლესიასთან, ჩამოყალიბდა სომხური ხალხური ცეკვების ანსამბლი „ჰეღნარ“.

1 / 2

ბათუმში შეიქმნა ახალგაზრდული მუსიკალური ანსამბლი „ჰუის“

მამა არარატი თავის ქადაგებაში მიესალმა აღნიშნულ ინიციატივებს, მადლობა მოახსენა ყველა პედაგოგს, რომლებმაც თავდადებით და უანგაროდ უნდა იმუშაონ ახალგაზრდებთან.

2 / 2